ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის, ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს №173/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის №52/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

**№ 4 ოქმი (შემაჯამებელი)**

**ქ. თბილისი** **06.10.2025**

**10.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №312**

სხდომას კომისიის 7 წევრიდან ესწრებოდა შემდეგი 6 წევრი: 1. პროფ. მურმან პაპაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. ლევან გორდეზიანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი; 4. ასოც. პროფ. მიხეილ ბარნოვი; 5. ასოც. პროფ. (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გურამ მარხულია; 6. ასისტ. პროფ. ზაალ გოგენია (კომისიის მდივანი).

**დღის წესრიგი:**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში და ამერიკისმცოდნეობის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. მურმან პაპაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის

ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, კომისიის თავმჯდომარემ მიიღო საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდში დაინტერესებულ პირთა მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **მსოფლიო ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში** ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა მარიკა მშვილდაძემ, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა: თეა წითლანაძემ და თამარ დაგარგულიამ; ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 2 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა ლეილა (ია) ხუბაშვილმა და მერაბ კალანდაძემ. **ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – მარიამ ხატიაშვილმა.

**მარიკა მშვილდაძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

კონკურსანტ მარიკა მშვილდაძეს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1988 წელს კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი. 1994 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 2003 წელს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ის უძღვება სალექციო კურსებს თსუ „ისტორიის" საბაკალავრო პროგრამის 5 და „არქეოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის 2 საგანში, ასევე „ძველი ენებისა და ცივილიზაციების" სამაგისტრო პროგრამის 3 საგანში. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 10 კურსის სილაბუსი, რომელიც ჩართულია ისტორიის საბაკალავრო, არქეოლოგიის საბაკალავრო და ძველი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო აკრედიტებულ პროგრამებში და რომლებიც სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – მისი

ნაშრომები, მათ შორის ექვსი მონოგრაფია, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი მსოფლიო ისტორიის ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. მის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „საქართველო ანტიკური ოიკუმენის ნაწილი" (თბილისი, 2025) საყურადღებო და ორიგინალურ ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო გამოკვლევას, რომელიც შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია წარმოაჩენს კონკურსანტის ფართო თვალსაწიერს და რეალიზებად სამეცნიერო პროექტებს გვპირდება. კონკურსანტი არის მრავალი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის აგრეთვე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების საკონფერენციო მოხსენებების ხელმძღვანელი, სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტი, სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, რეცენზირებადი სამეცნიერო კრებულის „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების" რედაქტორი.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა, თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, კერძოდ, რომ ის აგრძელებს მუშაობას ანტიკური ცივილიზაციის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, პირველ რიგში, ანტიკური სამყაროს რელიგიების პრობლემატიკაზე (იხ. ოქმი №3). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

**თეა წითლანაძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

კონკურსანტ **თეა წითლანაძეს** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1996 წელს კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი. 2003 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის (გათანაბრებულია დოქტორთან) ხარისხის მოსაპოვებლად. ის უძღვება

ლექციებს ან/და სემინარებს თსუ „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამის 4 და „შუა საუკუნეების ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის 4 საგანში. ის არის სამი სახელმძღვანელოს თანაავტორი. მას გააჩნია ვაკანსიის პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს ვაკანსიის შესაბამისი რვა სილაბუსი, რომლებიც სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – მისი ნაშრომები, მათ შორის ერთი მონოგრაფია, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია (თანაავტორობით), საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და გრანტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში, ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია კარგად ასახავს მის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი კონცეფციაში წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მასში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ნაწილები. კონკურსანტი ფლობს ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს. კონკურსანტი სისტემატურად არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიების წევრი. არის ამერიკული საისტორიო ასოციაციის და ამერიკის მედიევისტთა აკადემიის წევრი, არის ეთიკის კომისიის წევრი, ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. მიღებული აქვს თსუ-ს ფულადი ჯილდო საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი სტატიის გამო.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა, თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მუშაობს გივი ჟორდანიას ლექციების კურსზე. აქტიურად მონაწილეობს ერაზმუს+-ის გაცვლით პროგრამებში აკადემიური და ადმინისტრაციული განხრით. მან განსაკუთრებით გამოჰყო თავისი კონტაქტები ეტვომ ლორანდის უნივერსიტეტთან (უნგრეთი), სადაც სემესტრის გახსნას ახდენს სტუდენტებისთვის განკუთვნილი სპეციალური ორსაათიანი სემინარით. ისაუბრა ასევე შესაფასებლად წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომზე და თქვა, რომ ეს ნაშრომი შესრულდა გრანტის ფარგლებში და ამიტომ ჰყავს თანაავტორები, თუმცა იდეა მისი იყო და ის არის ძირითადი ავტორი (იხ. ოქმი №3). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის

კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

**თამარ დაგარგულიამ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო დაბალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტ **თამარ დაგარგულიას** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ისტორიის ფაკულტეტი 2001 წელს კვალიფიკაციით ისტორიის მასწავლებელი. 2006 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის (გათანაბრებულია დოქტორთან) ხარისხის მოსაპოვებლად. მას გააჩნია პედაგოგიური გამოცდილება (15 წელი) და გავლილი აქვს კვალიფიკაციის შესაბამისი სტაჟირება. ამავე დროს, კონკურსანტის სასწავლო-მეთოდური საქმიანობა არ შეესაბამება ვაკანსიის შესაბამის პროფილს და მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით არ აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს. თამარ დაგარგულიას გააჩნია 10 ნაშრომი. ამათგან ვაკანსიის პროფილს შეესაბამება 7, რომელთაგან უკანასკნელი გამოქვეყნებულია 2006 წელს. უკანასკნელ 6 წელიწადში მას მონაწილეობა მიღებული აქვს 2 კონფერენციაში, რომლებზეც წარმოდგენილი მოხსენებები არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი – „NGO Network Analysis Handbook: How to Measure and Map Linkages Between NGOs" (37 გვერდი, 2011 წელი) წარმოადგენს ახალგაზრდებზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ანალიზის სახელმძღვანელოს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს არა მარტო შუა საუკუნეების, არამედ ისტორიის მეცნიერების კვლევის მეთოდოლოგიასთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი პროსპექტუსის ფორმით გვთავაზობს მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროდან ერთი თემის – „სამონასტრო ცხოვრება შუა საუკუნეების ევროპაში" კვლევას და არ ასახავს, თუ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის რომელ აქტუალურ თემებზე შეუძლია ამუშაოს ბაკალავრები და მაგისტრები.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა ისაუბრა თავის სამეცნიერო და აკადემიურ გამოცდილებაზე. მან აღნიშნა, რომ

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ჯონ უიკლიფის პოლიტიკურ შეხედულებებზე და სტატიები ძირითადად გამოქვეყნებული აქვს სწორედ დისერტაციის გარშემო. ის მუშაობდა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში და, ასევე, სოროსის ფონდის დაფინანსებით იმყოფებოდა ბუფალოს უნივერსიტეტში (აშშ) 2005-2007 წლებში, სადაც მას მიჰყავდა კურსი "Women and Images in Fine Art". 2006 წლიდან ძირითადად მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ კვლევის ფარგლებში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კვლევის მეთოდოლოგიაზე. 2018 წლიდან მუშაობს ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აქედან გამომდინარე, კონკურსანტმა აღნიშნა, რომ ამჟამად გადის ონლაინ კურსს „ინფორმაციის ანალიზი პითონისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით". შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მასში წარმოდგენილი მეთოდოლოგია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შუა საუკუნეების ან მთლიანად მსოფლიო ისტორიის კვლევისას და რომ თავად ის აპირებს მის გამოყენებას შუა საუკუნეების სამონასტრო ცხოვრების კვლევისას, კერძოდ, განიხილოს სხვადასხვა მონასტრების წესდებები ტოლერანტობის შესწავლის კუთხით (იხ. ოქმი №3). გასაუბრების შედეგად, კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა ფორმალურად შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

**მერაბ კალანდაძემ** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტ **მერაბ კალანდაძეს** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1975 წელს კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი. 1988 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1999 წელს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მას გააჩნია პედაგოგიური გამოცდილება (40 წელი) და ის უძღვება სალექციო კურსებს თსუ „ისტორიის" საბაკალავრო პროგრამის 3 და „ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო პროგრამის 6 საგანში. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 5 კურსის სილაბუსი, რომელიც ჩართულია

ისტორიის საბაკალავრო და ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო აკრედიტებულ პროგრამებში და რომლებიც სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტის ნაშრომები, მათ შორის 18 მონოგრაფია, სამი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. მის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე" (თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი", 2025) – ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეეხება ისტორიულ მეცნიერებაში აკად. დიმიტრი უზნაძის წვლილს, რაც მანამდე შესწავლილი არ ყოფილა. ის კარგად წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და სრულად შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია სრულად წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მის მომავალ მიზნებს. მასში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ნაწილები. კონკურსანტი ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს. უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე კონკურსანტი იყო ერთი საბაკალავრო და ერთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ჩატარებული აქვს საჯარო ლექციები ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ეგიდით. არის ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების წევრი, თსუ ისტორიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ ის გააგრძელებს მუშაობას ისტორიოგრაფიის საკითხებზე, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ არის შესწავლილი (იხ. ოქმი №3). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

**ლეილა (ია) ხუბაშვილმა** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება;

IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტ **ლეილა (ია) ხუბაშვილს** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1977 წელს კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი. 1996 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 2003 წელს – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მას გააჩნია პედაგოგიური გამოცდილება (32 წელი) და ის უძღვება სალექციო კურსებს თსუ „ისტორიის" საბაკალავრო პროგრამის 4 და „ახალი და უახლესი ისტორიისა" და „შუა საუკუნეების ისტორიის" სამაგისტრო პროგრამების 7 საგანში. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 3 კურსის სილაბუსი, რომელიც ჩართულია ისტორიის საბაკალავრო და ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო აკრედიტებულ პროგრამებში და რომლებიც სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტის ნაშრომები, მათ შორის 6 მონოგრაფია, სამი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. მის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა" (მესამე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2025) – ის კარგად წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და სრულად შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია სრულად წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მის მომავალ მიზნებს და მასში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ნაწილები. კონკურსანტი უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე კონკურსანტი იყო ერთი სადოქტორო ნაშრომისა და ათობით საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი. ჩატარებული აქვს ლექციები თსუ ნორჩ ჰუმანიტართა სკოლასა და საბავშვო უნივერსიტეტში, ასევე საჯარო ლექციები ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ეგიდით. არის თსუ ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში. 2019 წელს ის დაჯილდოებულ იქნა რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის (ფლორენცია) ვერცხლის მედლით იტალია-საქართველოს კულტურათაშორის დიალოგში შეტანილი წვლილისათვის.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა, თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ

აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მუშაობს თავისი მონოგრაფიის „რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა“ მეორე ტომზე, რომლის დასრულებაც უახლოეს ხანებში არის დაგეგმილი და რომ გააგრძელებს სტუდენტების აქტიურად ჩართვას სამეცნიერო კვლევებში (იხ. ოქმი №2). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

**მარიამ ხატიაშვილმა** შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2).

კონკურსანტ **მარიამ ხატიაშვილს** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ამერიკისმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამა 2014 წელს და ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა 2016 წელს. 2020 წელს მან დაიცვა დისერტაცია ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. მას გააჩნია პედაგოგიური გამოცდილება (8 წელი). ის უძღვება ლექციებს ან/და სემინარებს თსუ „ამერიკისმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის 4 და „ამერიკისმცოდნეობის“ სამაგისტრო პროგრამის 3 საგანში. მას გააჩნია ვაკანსიის პროფილის შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს ვაკანსიის შესაბამისი 7 სილაბუსი, რომლებიც სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – მისი ნაშრომები, მათ შორის ერთი მონოგრაფია, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და გრანტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში, ხელს შეუწყობს თსუ-ს ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევითი პროფილის განვითარებას. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი მონოგრაფია – „ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოში: ცივი ომიდან სტრატეგიულ პარტნიორობამდე“ (თბილისი: გამომცემლობა „კლიო“, 2020) – წიგნი წარმოადგენს სიღრმისეულ და მრავალმხრივ კვლევას, რომელიც ამერიკისა და საბჭოთა დიპლომატიის შედარებით ანალიზს სთავაზობს მკითხველს. ეს არის საქართველოში აშშ-ის სახალხო დიპლომატიის შესწავლის პირველი და მეტად წარმატებული მცდელობა. ნაშრომი გამორჩეულია როგორც თემის აქტუალობით, ისე

ავტორის მიერ შემუშავებული ორიგინალური დასკვნებით. მასში გამოყენებულია მრავალფეროვანი პირველწყაროები და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს საკითხის სრულფასოვან გააზრებას. ავტორის მიერ ნაჩვენებია მკაფიო კვლევითი უნარები, ანალიტიკური ხედვა და რთული ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების გაშლის უნარი. ნაშრომი ნათლად წარმოაჩენს კანდიდატის როგორც აკადემიურ შესაძლებლობებს და აჩვენებს მის მზადყოფნას, განაგრძოს მაღალი დონის კვლევითი საქმიანობა. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი კონცეფციაში ნათლად არის წარმოჩენილი ასოცირებულ პროფესორად არჩევის შემთხვევაში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მათი განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის განვითარებასა და ინსტიტუტის კავშირების გაძლიერებას უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კონკურსანტი იყო თანაორგანიზატორი და ორგანიზატორი ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო და სტუდენტური კონფერენციების, ასევე რეცენზენტი და ხელმძღვანელი საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის ნაშრომებისა და საკონფერენციო მოხსენებების მრავალ თემაზე. მას აქვს გამოცდილება როგორც ტრენერსა და მენტორს საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში („თემის ელჩები", 2019–2022), სადაც მუშაობდა ახალგაზრდებთან, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან. ასევე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების პროექტებს დემოკრატიის, დიპლომატიისა და საზოგადოებრივი ჩართულობის თემებზე. კანდიდატი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს და კომპიუტერულ პროგრამებს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა ისაუბრა თავის სამეცნიერო და საგანმანათლებლო გამოცდილებაზე, მათ შორის მონოგრაფიაზე „ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოში: ცივი ომიდან სტრატეგიულ პარტნიორობამდე" და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობაზე. აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, სახალხო დიპლომატიას, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებსა და ამერიკულ კულტურას. მან აღნიშნა, რომ სამომავლოდ გეგმავს კვლევების გაგრძელებას ამერიკისმცოდნეობის ინტერდისციპლინურ, მულტიდისციპლინურ და ტრანსდისციპლინურ მიმართულებებში და სტუდენტების კვლევით პროცესებში ჩართვის ხელშეწყობას (იხ. ოქმი №3). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

გამოცხადებულ ვაკანსიებზე სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისათვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდგომ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კომისიის წევრებმა ცალ-ცალკე, ფარულად მიიღეს გადაწყვეტილება და მოათავსეს ბიულეტენები ყუთში. ამის შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა გახსნეს ყუთი და დათვალეს ხმები:

ა) მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა" კატეგორია)

1. მარიკა მშვილდაძე – 6 ხმა.

ბ) მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა" კატეგორია)

1. თეა წითლანაძე – 6 ხმა;
2. თამარ დაგარგულია – 0 ხმა.

გ) მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა" კატეგორია)

1. მერაბ კალანდაძე – 6 ხმა;
2. ლეილა (ია) ხუბაშვილი – 6 ხმა.

დ) ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი („ა" კატეგორია)

1. მარიამ ხატიაშვილი – 6 ხმა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **მარიკა მშვილდაძის** შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა ამ პროგრამების შექმნის დღიდან, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა თუ სალექციო კურსების ავტორობა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით, მის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „საქართველო ანტიკური ოიკუმენის ნაწილი", რომელიც წარმოადგენს საყურადღებო და ორიგინალურ ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო გამოკვლევას და საუკეთესოდ წარმოაჩენს ავტორის შემოქმედებით პოტენციალს.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **თეა წითლანაძის** შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა ამ პროგრამების შექმნის დღიდან, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა თუ სალექციო კურსების ავტორობა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. კონკურსანტ თეა წითლანაძის სამეცნიერო ნაშრომები მნიშვნელოვანია მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საქმიანობისთვის. ის მუშაობს შუა საუკუნეების ისტორიის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც ეხება შუა საუკუნეების ქართული და ევროპული სამედიცინო ტრაქტატების შედარებით ანალიზს, დაიბეჭდა მაღალრეიტინგული იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალ History of Science and Tecnology-ის მე-15 ტომში (2025), რაც არც ისე ხშირი მოვლენაა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **თამარ დაგარგულიას** შეფასებისას გაითვალისწინა, რომ მას პროფილის მიხედვით არ უმუშავია 2016 წლის შემდეგ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა პროფილის მიხედვით არ უწარმოებია 2006 წლის შემდეგ და მის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი არ შეესაბამებოდა ვაკანსიის პროფილს.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **მერაბ კალანდაძის** შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა ამ პროგრამების შექმნის დღიდან, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა თუ სალექციო კურსების ავტორობა და მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ისტორიოგრაფიის დარგში ნაკლებად შესწავლილი საკითხების წარმოჩენის კუთხით.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **ლეილა (ია) ხუბაშვილის** შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა ამ პროგრამების შექმნის დღიდან, მისი მრავალმხრივი კვლევითი საქმიანობა, საერთაშორისო კონტაქტები და სტუდენტების სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართვა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ **მარიამ ხატიაშვილის** შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში აქტიური ჩართულობა, მისი საერთაშორისო კონტაქტები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატიის შესწავლისას.

**ერთხმად დაადგინეს:** 1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **მარიკა მშვილდაძე**; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **თეა წითლანაძე**; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი („ა“ კატეგორია) 2 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: **მერაბ კალანდაძე** და **ლეილა (ია) ხუბაშვილი**; სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **მარიამ ხატიაშვილი**;

2. გამოქვეყნდეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

კომისიის მდივანი:

წევრები:

თარიღი:
06.10.2025